დააპროექტე სამყარო ახალგაზრდებთან ერთად!

ახალგაზრდების მონაწილეობა ადგილობრივ საქმიანობაში

გალიციური განვითარების და განათლების ფონდი
არასმთავრობო ორგანიზაცია კონა

Region in Transition

გამოცემა გამოქვეყნდა „Be INvolved - supporting youth initiatives in Shida Kartli region, Georgia" პროექტის ფარგლებში. აღნიშნული პროექტი განხორციელდა გალიციური განვითარების და განათლების ფონდის და არასამთავრობო ორგნიზაციის კონა (Kona) (საქართველო) მიერ, პოლონურ- ამერიკული ფონდის „თავისუფლება" თანადაფინანსებით, რიტა RITA - რეგიონში ცვლილებები პროგრამის ფარგლებში, ფონდის „განათლება დემოკრატიისთვის" მიერ.

ჩაერთე
BE INVOLVED

კონა

Galicyjska Fundacja Rozwój i Edukacja

შინაარსი

შესავალი	4
პროექტის შესახებ	5
ახალგაზრდობა - ანუ ვინ?	7
ახალგაზრდების მონაწილეობა ადგილობრივ საქმიანობაში. რის მიღწევას ვცდილობთ?	9
სამოქალაქო განათლება - რა კომპეტენციებს ვავითარებთ?	11
რატომ არის სასურველი ახალგაზრდების ჩართულობა ადგილობრივ საქმიანობაში	13
ადგილობრივი საქმიანობა ეტაპებადა - კვლევა, განხორციელება, შეჯამება	15
მეთოდები - როგორ მოვიპოვოთ ახალგაზრდების მხარდაჭერა ადგილობრივი პროექტების განხორციელებაში?	17
ჩვენი გამოცდილება - რამ იმუშავა ჩვენი პროექტის განხორციელებისას ?	33
დაფინანსების წყაროები, ადგილობრივი რესურსების გამოყენება	42
საკონტაქტო სია - ვინ მუშაობს?	43
ბმულები და პუბლიკაციები	46
ავტორების და პარტნიორი ორგანიზაციების შესახებ	47

შესავალი

წინამდებარე პუბლიკაცია წარმოადგენს „Be INvolved - supporting youth initiatives in Shida Kartli region, Georgia" პროექტის კოორდინატორთა და ტრენერების მუშაობის შედეგს. ეს არის ჩვენი პოლონურ-ქართულ პროექტის პარტნიორობის და პოლონეთში ახალგაზრდებთან მუშაობის გამოცდილების მოკლე მიმოხილვა.

გამოცემა მიზნად ისახავს იდეების და შთაგონების ერთ ადგილას შეგროვებას, რაც შეიძლება სასარგებლო იყოს ახალგაზრდებთან ერთად ადგილობრივი პროექტების განხორციელებისას.

ზემოხსენებული გამოვაქვეყნეთ ახალგაზრდებთან მუშაობის მსურველთათვის - არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლებისთვის, პედაგოგებისთვის, მოხალისეებისთვის, კულტურული დაწესებულებების თანამშრომლებისთვის. აღნიშნული პუბლიკაცია ეძღვნება ყველას, ვისაც სურს ახალგაზრდებთან ერთად სამყაროს შეცვლა. ჩვენ გამოცდილება შევიძინეთ სოფელში ახალგაზრდებთან მუშაობისას, აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი რჩევები და შთაგონება შეიძლება სასარგებლო იყოს სხვა კონტექსტშიც.

გვჯერა, რომ პატარა საქმესაც შეუძლია შეცვალოს მსოფლიო. ჩვენ, ასევე, ახალგაზრდების პოტენციალის გვჯერა.

ვიმედოვნებთ, რომ ეს გამოცემა თქვენი სტიმული იქნება ახალგაზრდებთან მუშაობისას!

პროექტის შესახებ

2018 წელში განხორციელდა პროექტი Be INvolved გალიციური განვითარების და განათლების ფონდის და არასამთავრობო ორგანიზაციის კონა (Kona) (თბილისში და შიდა ქართლში). პროექტის მთავარი მიზანი იყო შიდა ქართლის რეგიონის სოფლებში მცხოვრები ახალგაზრდების ადგილობრივი ინიციატივების მხარდაჭერა. პროექტის ფარგლებში ჩატარდა შეხვედრები და სემინარები, რომელსაც ესწრებოდნენ ქვემო ჭალასა (კასპის რაიონი) და ხურვალეთში (გორის რაიონი), დევნილთა დასახლებაში მცხოვრები ახალგაზრდები. პროექტის მონაწილეებმა სოციალური კვლევის საფუძველზე მოამზადეს ადგილობრივი პროექტები, შეიტყვეს, თუ როგორ უნდა ჩამოყალიბდეს მათი იდეა პროექტის სახით და როგორ უნდა მოხდეს მისი განხორციელება ეტაპობრივად.

მათ მონაწილეობა მიიღეს სემინარებში, რომლებიც ეხებოდა ადგილობრივი რესურსების, გუნდური მუშაობის, კომუნიკაციის უნარ-ჩვევების განვითარებას და შეფასების უნარს.

პროექტის ფარგლებში ისინი შეხვდნენ მენტორებს, რომლებიც მხარს უჭერენ მათ საქმიანობას. მათ სიმბოლური დაფინანსება მიიღეს, იდეების გასახორციელებლად. პროექტის დასასრულს, თბილისში ჩატარდა საევალვაციო შეხვედრა, რომლის დროსაც მონაწილეებმა მოისმინეს ადგილობრივი ინიციატივების შესახებ და შეაჯამეს მათი რამდენიმე თვის საქმიანობა.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში პროექტის მონაწილეებმა განახორციელეს ხუთი ადგილობრივი პროექტი (მათ ქვემო ჭალაში შექმნეს პარკი და სპორტული მოედანი, მოამზადეს ბავშვებისთვის და ახალგაზრდებისთვის ღონისძიებების/ მეცადიონეობების ციკლი, ხურვალეთში მათი ინიციატივით დაარსდა ბიბლიოთეკა, აგრეთვე, ქვემო ჭალაში შეიქმნეს და აღჭურვეს ახალგაზრდობის შეკრების ადგილი).

ახალგაზრდობა – ანუ ვინ?

ახალგაზრდებზე საუბრისას, ჩვენ ვგულისხმობთ 13-18 წლის ახალგაზრდებს. ეს არის განვითარების ინტენსიური პერიოდი - დიდი ფიზიკური და გონებრივი ცვლილებების პერიოდი. ამ პერიოდში ბავშვები ყალიბდებიან და იზრდებიან, აყალიბებენ ახალ ურთიერთობებს, სვამენ კითხვებს, იღებენ გადაწყვეტილებებს იმის შესახებ, თუ რას გააკეთებენ მომავალში.

ეს ის პერიოდია, როდესაც მოზარდები ინტენსიურად იწყებენ ფიქრს იმის შესახებ, ვინ არიან და რა როლს ასრულებენ საზოგადოებაში. მათ, ასევე, სჭირდებათ, რომ იყვნენ მიმღებულნი იყვნენ.

მოზარდი საჭიროებს საზოგადოებაში საკუთარი როლის პოვნას, "ზრდასრული ცხოვრების" გასააზრებლად, იმისთვის, რომ გაიგონ, თუ რა უფლებები და მოვალეობები გააჩნიათ. მათთვის მნიშვნელოვანია, დაინახონ მუშაობის და რეალური ცვლილებების შედეგი.

მათ სჭირდებათ ავტონომია, მაგრამ, ამავე დროს, მათ ხშირად სჭირდებათ უფროსების მხარდაჭერა და გონივრული დახმარება, ასევე, საჭიროებენ ბევრ სივრცეს დამოუკიდებლობისთვის, მაგრამ ეს უნდა განხორციელდეს უფროს ადამიანებთან მჭიდრო თანამშრომლობით. მნიშვნელოვანია, რომ ზრდასრული ადამიანი იყოს მეგობარი, ვინაიდან, სწავლების ტიპიური მოდელი ნაკლებად ეფექტურია. ახალგაზრდები ეძებენ ავტორიტეტებს, ამავე დროს, გარკვეულწილად უარყოფენ მათ, განვითარების ადრეულ ეტაპზე (მშობლებს, მასწავლებლებს).

მოზარდებისთვის ზრდასრული ადამიანების დამოკიდებულება და სწორი მიდგომა გადამწყვეტია ამ ასაკში, მნიშვნელოვანია, მოზარდებს მიეცეს თავისუფლება და, ამავე დროს, გონივრული მხარდაჭერა, საქმიანობის განხორციელებისას. უაღრესად მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, თუ როგორ უნდა დაუჭიროთ მხარი ისე, რომ არ მოხდეს ჩვენი შეხედულებების თავს მოხვევა, უნდა ვისწავლოთ მათი მოსმენა. ზემოაღნიშნული მოითხოვს ჩვენგან გულითად მიდგომას და ყურადღებას.

ეს არის იდეალური ასაკი, რათა ახალგაზრდებთან ერთად განვახორციელოთ ადგილობრივი პროექტები, რაც მათ საშუალებას აძლევს, შეეცადონ, აიღონ პასუხისმგებლობა და მცირე მასშტაბით შეცვალონ თავიანთი რეალობა და გარემო. ადგილობრივი პროექტების დახმარებით, მათ ეძლევათ შესაძლებლობა, გამოსცადონ საკუთარი თავი ზრდასრული ადამიანის როლში და, აგრეთვე, ეძლევათ შანსი, ჩამოყალიბდნენ ცნობიერ და აქტიურ მოქალაქეებად. პრაქტიკაში, ისეთ მნიშვნელოვან სამოქალაქო კომპეტენციებს ავითარებენ, როგორიცაა დისკუსიების ჩატარება, საკუთარი შეხედულებების წარდგენა, აქტიური მოსმენა, გაანალიზება და კრიტიკული აზროვნება.

a) love
b) hate
c) like
RUGBY

ახალგაზრდების მონაწილეობა ადგილობრივ საქმიანობაში. რის მიღწევას ვცდილობთ?

მონაწილეობას ავღიქვამთ, უფრო ფილოსოფიად, ვიდრე მეთოდად. დასაწყისშივე უნდა გავაცნობიეროთ, რომ მონაწილეობა აქტიურობაზე მეტს ნიშნავს. მონაწილეობა გულისხმობს ახალგაზრდებისთვის ძალაუფლების მინიჭებას - რეალურს და არა მოჩვენებითს.

ახალგაზრდული მონაწილეობა ადგილობრივ საქმიანობაში - წარმოადგენს ახალგაზრდების ჩართულობას იმ საქმიანობაში, რომელიც ახალგაზრდების და ადგილობრივი მოსახლეობისთვის სასარგებლო იქნება, რაც გულისხმობს საერთო საქმის განხორციელებისას პარტნიორობას. სრული მონაწილეობა არის საუკეთესო, მაგრამ არსებობს ისეთი პრაქტიკული მოსაზრებები, როდესაც სრულად მონაწილეობა შეუძლებელია (მაგ. პროგრამული მოთხოვნები, ინსტიტუტებთან თანამშრომლობა და ა.შ.), თუმცა, მიზანშეწონილია სრული მონაწილეობის გამოყენება. სასურველია, სიტუაციები, როცა ინიციატივები წამოვა ახლაგაზრდებისგან, ხოლო გადაწყვეტილების მიღება მოხდება ზრდასრულებთან ერთად (მოიძიეთ: Roger's Hart Ladder of Participation).

Be Involved პროექტში შევქმენით პირობები, ახალგაზრდების ინიციატივების გასახორციელებლად. ახალგაზდებს მიეცათ შესაძლებლობა, პროექტის განხორციელობისას მიეღოთ მონაწილეობა პროექტის დაწყებიდან მის დასრულებამდე. ადგილობრივი ბაზის გაანალიზებისას დავგეგმეთ საქმიანობა და ბიუჯეტი, აღვწერეთ პროექტი და შემდგომში განვახორციელეთ ის შედგენილი გეგმის მიხედვით, ხოლო შეხვედრების დროს განვახორციელეთ პროექტების ევალვაცია

ადგილობრივი ინსტიტუციებთან, ხელისუფლების წარმომადგენლებთან თანამშრომლობისას უნდა ვიზრუნოთ მონაწილეობის ჩვენებური ხედვის გააზრებაზე. სამწუხაროდ, ახალგაზრდების მონაწილეობა ხშირად საჩვენებლად გამოიყენება ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან - ასეთ სიტუაციას გადავწყდით პროექტის განხორციელებისას. ინსტიტუტებთან, ხელისუფლების წარმომადგენლებთან, ორგანიზაციებთან, რომლების აქტივობებში ჩართვაც გვინდა, შეხვედრამდე მიზანშეწონილია განსაზღვროთ თანამშრომლობის წესი და ის, თუ რა არის ჩვენთვის მნიშვნელოვანი. აუცილებელია, რომ ახალგაზრდების აქტიურობა ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ არ იქნეს გამოყენებული მათი გეგმებისა და ქმედებების განსახორციელებლად, რაც, სამწუხაროდ, ძალიან ხშირად ხდება.

როჯერ ჰარტის მონაწილეობის კიბე



8. ახალგაზრდების მიერ ინიცირება, გადაწყვეტილებების გაზიარება უფროსებისთვის-ახალგაზრდა და უფროსი ადამიანი ერთად იღებენ გადაწყვეტილებებს, როგორც თანასწორუფლებიანები.

7. ახალგაზრდის მიერ ინიცირება და მართვა. ახალგაზრდა იღებს გადაწყვეტილებას უფროსის მცირედი მონაწილეობით.

6. უფროსების მიერ ინიცირება, გადაწყვეტლებების გაზიარება ახალგაზრდებისთვის

5. შეთანხმება და ინფორმირება-უფროსი ადამიანი იღებს გადაწყვეტილებას, ახალგაზრდა ინფორმირებულია.

4. დანიშვნა და ინფორმირება-უფროსის მიერ ინიცირებული მოქმედება. ახალგაზრდა იღებს მონაწილეობას და ჩართულია გადაწყვეტილებების მიღებაში.

3. სიმბოლიზმი-უფროსის მიერ ინიცირება, ახალგაზრდის სავარაუდო ინფორმირება, მისი აზრის მინიმალური გათვალისწინებით.

2. დეკორაცია-უფროსის მიერ ინიცირებული, ახალგაზრდა იაზრებს მიზანს, მაგრამ წარმოდგენა არ აქვს თუ როგორ დაიგეგმა და განვითარდა მოვლენები.

1. მანიპულაცია-უფროსის მიერ ინიცირებული, სადაც ახალგაზრდა ვალდებულია ყოველგვარი გააზრების გარეშე შეასრულოს უფროსის დავალებები.

მონაწილეობის დონორები

ცრუ მონაწილეობა

სამოქალაქო განათლება – რა კომპეტენციებს ვავითარებთ?

სამოქალაქო განათლების მრავალი განსაზღვრა არსებობს. ჩვენ გვესმის სამოქალაქო განათლება, როგორც პროცესი, რომელიც ამზადებს ახალგაზრდებს, იყვნენ მათი პატარა სამშობლოს და მთელი მსოფლიოს მოაზროვნე და აქტიური მცხოვრებნი.

საგანმანათლებლო პროცესი ფართო ცნებაა - არა მხოლოდ როგორც ფორმალური განათლება, არამედ უპირველეს ყოვლისა - არაფორმალური სწავლება, როდესაც ვსწავლობთ სხვადასხვა აქტივობების და საქმიანობის მეშვეობით მთელი ცხოვრების მანძილზე. საუკეთესო სწავლება - პრაქტიკულ ნაწილში მიღებული ცოდნაა!

სამოქალაქო განათლებისას ვითარდება შემდეგი კომპეტენციები, დამოკიდებულება და უნარები:

- კრეატიულობა
- კრიტიკული აზროვნება
- ძლიერი და სუსტი მხარეების შეფასება
- კომუნიკაციის უნარი
- ემპათია
- ტოლერანტობა
- დისკუსიისა და მოლაპარაკებების პრინციპების კარგი ცოდნა
- რეფლექსიის უნარი
- ცნობიერი და კონსტრუქციული მონაწილეობა ადგილობრივ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.
- დემოკრატიის პრინციპების გაგება და პატივისცემა
- განსხვავებულ გარემოში საქმიანობის უნარი, განსხვავებული ხედვის მიმღებლობა
- ურთიერთთანამშრომლობის უნარი
- საკუთარ განვითარებაზე და გარემოზე პასუხისმგებლობა
- პროექტის მართვა (დაგეგმვა, ანალიზი, შეფასება, ორგანიზაცია, ანგარიშგება)

CHAN
GE (WO) MAN

რატომ არის სასურველი ახალგაზრდების ჩართულობა ადგილობრივ საქმიანობაში

ადგილობრივი საქმიანობა ასწავლის გარემოს აღქმას, პასუხისმგებლობას მსოფლიოში საკუთარი ადგილის პოვნას – მიუხედავად იმისა, თუ სად იქნება ეს. ისინი ასწავლიან ქმედებას და მეწარმეობას. ახალგაზრდების მონაწილეობა ადგილობრივ პროექტებში მათ საშუალებას აძლევს, გავლენა იქონიონ მიმდინარე რეალობაზე, ეხმარება მათ გაცნობიერებულ და აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობაში.

ადგილობრივი ინიციატივებია დემოკრატიის ლაბორატორიები, რაც საზოგადოების კრეატიული ცვლილებების საშუალებას იძლევა. ახალგაზრდები პრაქტიკულად სწავლობენ დემოკრატიას, რაც იმას ნიშნავს, რომ პასუხისმგებლობას გვაკისრებს ჩვენი გარემოს ცვლილებებსა და შენარჩუნებაზე. ისინი პასუხისმგებლობას სწავლობენ და არა პასიურობას, პრობლემების აღმოჩენას და გადაჭრას. საქმიანობაში ჩართულმა ბევრმა ახალგაზრდამ დაინახა, რომ, სურვილის შემთხვევაში, ბევრი რამის გაკეთებაა შესაძლებელი.

ადგილობრივი პროექტები წარმოადგენს სამოქალაქო განათლების პრაქტიკას! კომპეტენციები, რომლებიც ახალგაზრდებს პროექტების განხორციელებისას გამოუმუშავდება მომავალში მათ დაეხმარება სირთულეებთან გამკლავებაში.

რას სარგებლობა მოაქვს ახალგაზრდების მონაწილეობას საზოგადოების ადგილობრივ საქმიანობაში? ბრძენი მმართველები დადებითად აფასებენ ახალგაზრდების საქმიანობას – გადაწყვეტილებების ერთობლივად მიღება სწორი არჩევანის საშუალებას იძლევა. ახალგაზრდები, რომლებსაც პრაქტიკაში მონაწილეობის შესაძლებლობა აქვთ, მომავალში უფრო მეტად აქტიური მოქალაქეები ხდებიან. ახალგაზრდების მონაწილეობა ადგილობრივ აქტივობებში ხელს შეუწყობს საზოგადოების შექმნას, რომლის მახასიათებლებიც იქნება თანამშრომლობა, გახსნილობა, აქტიურობა და მოქმედება.

ადგილობრივი საქმიანობა ეტაპებადა – კვლევა, განხორციელება, შეჯამება

იმისათვის, რომ ახალგაზრდებმა რეალურად შექმნან ადგილობრივი პროექტები, მონაწილეობა უნდა მიიღონ მათი განხორციელების ყველა ეტაპში. ჩვენი საქმიანობის დაგეგმვისას გასათვალისწინებელია ახალგაზრდებისთვის კეთდება ეს თუ მათი მონაწილეობით, რადგან განსხვავება დიდია. ჩვენ ვცდილობთ, რომ მაქსიმალურად სრული მონაწილეობა მიიღონ ახალგაზრდებმა მთელ პროცესში. რაც უფრო ადრე ჩავრთავთ ახალგაზრდებს პროექტის შექმნაში, მით უფრო სრულყოფილი იქნება მათი მონაწილეობა.

ახალგაზრდები თავიანთი საქმის ექსპერტები არიან – უნდა ესაუბროთ და მოუსმინოთ მათ მოსაზრებებს. სამწუხაროდ, ახალგაზრდები ხშირად არ იყენებენ უფროსებს, როგორც პარტნიორებს, ზოგჯერ კი უფრო პროექტის რეალიზებას მეტი დრო სჭირდება. თუ ახალგაზრდების მონაწილეობის პროცესი თავიდანვე არ იქნება სრულყოფილი, ამან არ უნდა გაგვაღიზიანოს.ადგილობრივი პროექტის ეტაპები:

- შეფასება
- რეალიზაცია
- შეჯამება (ევალვაცია)

მეთოდები – როგორ მოვიპოვოთ ახალგაზრდების მხარდაჭერა ადგილობრივი პროექტების განხორციელებაში?

პუბლიკაციის დასასრულს, განყოფილებაში "ბმულები და პუბლიკაციები" არის საინტერესო ხერხები, რომლებიც შეიცავს სპეციალურ მეთოდებსა და ინსტრუმენტებს, რომლებიც შეგიძლიათ გამოიყენოთ ახალგაზრდებთან მუშაობისას. აქ ჩვენ ვაქვეყნებთ რამდენიმე იდეას, რომელიც კარგად მუშაობდა ჩვენი პროექტის განხორციელებისას.

საქმიანობაში ჩვენ ვცდილობთ გამოვიყენოთ მარტივი მეთოდები, ადგილობრივი რესურსები, რაც პრაქტიკაში შესაძლებელია გამოვიყენოთ ნებისმიერ დროს და არ მოითხოვს დიდ ხარჯებს / სპეციალური მეთოდიკა. ამის გამოყენება ახალგაზრდებს შეუძლიათ ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ახალგაზრდებს უნდა მივცეთ მონაწილეობის შესაძლებლობა – მაგალითად, შეხვედრის ან ნაწილის ჩატარება, სცადეთ და ჩაატარეთ ექსპერიმენტი! თითოეულ ჯგუფში და სიტუაციაში რაღაც განსხვავებული იქნება.

დასაწყისი

როგორ დავიწყოთ? პირველი შეხვედრის ორგანიზება - უთხარით თქვენი იდეა და ისაუბრეთ საკუთარ თავზე, ისაუბრეთ ახალგაზრდებთან იმაზე, თუ რას აპირებთ, გაიგეთ მათი აზრი. მაგალითად, შეგიძლიათ შეხვედრის საცხოვრებელი ადგილის ორგანიზება, ან თემატური შეხვედრა (მაგალითად, ფილმის ჩვენების საღამო, სემინარი დემოკრატიაზე). დასაწყისში მნიშვნელოვანია შეხვედრა, გაცნობა და გასაუბრება.

შეხვედრების დაწყების შემდეგ, დარწმუნდით, რომ ყველას ესმის პროექტში მონაწილეობის წესები, შეიმუშავეთ ერთობლივი ხელშეკრულება / წესები. ისაუბრეთ იმაზე, თუ რა აინტერესებთ და როგორ გინდათ ერთად მუშაობა. ასევე, საუბარია კომუნიკაციის შესახებ საუბარი - როგორ ჩატარდება შეხვედრა, საჭიროების შემთხვევაში ვის ან როგორ უნდა მიმართონ და ა.შ.

მნიშვნელოვანია უფრო მეტი დრო დაუთმოთ ერთმანეთის კარგად გაცნობას.

1. სახელი და ზედსართავი სახელი - მარტივი გართობა, რათა გაადვილდეს სახელების დამახსოვრება. წრეში დავდგეთ, პირველი პირი ამბობს, რომ მისი სახელი და ზედსართავი სახელი იწყება იმავე ასოთი, რომელიც გარკვეულწილად განსაზღვრავს მას (მაგ. მხიარული მარიამი). ყოველი მომდევნო ადამიანი ხელახლა იმეორებს ყველა წინამორბედის სახელს და ზედსართავს.

2. ინტერვიუები - რა არის შენი ყველაზე დიდი ოცნება? რას აკეთებდი დღესასწაულებზე? ვისთან ერთად გსურს სადილობა? რა არ იციან თქვენს შესახებ ჯგუფში? რა გსურთ შეცვალოთ მსოფლიოში? ჯგუფი იყოფა წყვილებად. თუ თქვენ გაქვთ შესაძლებლობა, მათ შეუძლიათ ერთმანეთს გადაუღონ ფოტოები. რამდენიმე წუთში ყველა ბრუნდება ოთახში და ყვება მეწყვილის შესახებ.

3. მოყევით დიქსის კარტით საკუთარ თავზე (ეს არის სასარგებლო ინსტრუმენტი, რომელიც კარგად მუშაობს ჯგუფში!). აურიეთ კარტი, დაალაგეთ იატაკზე და სთხოვეთ მონაწილეებს აირჩიონ ერთი ცალი - რომელიც გარკვეულწილად აღწერს მას. ყველას შეუძლია თქვას საკუთარ თავზე ან ისაუბრონ მეწყვილეზე, დანარჩენებს შეუძლიათ დაამატონ რაიმე, თუ აქვთ ასოციაციები კარტის იმ პირთან მიმართებაში.

I კვლევა

1. გამოიყენეთ სხვადასხვა მეთოდი! კვლევა კარგია საცხოვრებელი ადგილის გასაცნობად, ან შევხედოთ სხვა რაკურსში, შეგვიძლია გავესაუბროთ იმ ხალხს, ვისთან არასოდეს გვისაუბრია, შეიძლება რაღაც ახლის შესწავლა.

2. სოფლის რუკა - ახალგაზრდები ქაღალდის დიდ ფურცლებზე საკუთარი სოფლის გეგმას / სქემას ხაზავენ, სხვადასხვა ფერით და წებოვანი სტიკერებით, ისინი აღნიშნავენ ადგილებს (შეგიძლიათ ასევე დაურთოთ მოვლენები, ხალხი), რომლებიც არ მოსწონთ / მნიშვნელოვანია მათთვის / სურს შეცვალოს / რომლებსაც გააჩნია პოტენციალი.

3. საველე თამაში - წავიდეთ სოფელში ერთად! თქვენ შეგიძლიათ მოამზადოთ მარშრუტი სხვადასხვა გაჩერებით გზაზე, სადაც უნდა შეასრულოთ რაღაც ამოცანა. კიდევ თამაშის ერთი ვარიანტი, სადაც მონაწილეები მიიღებენ ამოცანების ჩამონათვალს და აქვთ განსაზღვრული დრო, მის შესასრულებლად.

ამოცანები უნდა ეხებოდეს კვლევას (მაგ. ჰკითხეთ მინიმუმ 3 უცნობ ადამიანს რა არ მოსწონს, რა უყვარს თავის სოფელში, სთხოვეთ მინიმუმ ერთ ქალს / ერთ ხანდაზმულს / ერთ ბავშვს, რა უნდა, რომ შეიცვალოს მის სოფელში, გააკეთეთ მოკლე სარეკლამო ფილმი თქვენს სოფელზე, გადაიღეთ მინიმუმ 5 ადგილი, რომლის შეცვლაც გსურთ / პრობლემები, რომელთა გადაწყვეტაც გსურთ თქვენს სოფელში.

4. ფილმი – იქეცით რეპორტიორებად! მოიფიქრეთ კითხვები და გამოჰკითხეთ სოფლის მოსახლეობას! მოგვიანებით, ასევე, შეგიძლიათ საზეიმო პრემიერის ორგანიზება (ყველას აინტერესებს, როგორ გამოიყურება ფილმში!) და გააერთიანეთ კვლევასთან სოფლის შესახებ (მაგალითად, შეგიძლიათ ადგილის მოწყობა, სადაც ხალხი მიაწებებს ჩამოწერილ დასმულ საკითხებზე პასუხებს, მაგალითად, "რა მინდა, რომ ჩვენს სოფელში შეიცვალოს?", "რა მინდა, ჩვენს სოფელში მოხდეს?", "რა აკლია ჩვენს სოფელს?", "როგორ შემიძლია მონაწილეობა პროექტში?" და სხვ.).

5. ფოტოსემინარები და ფოტოგამოფენა - ფოტო სემინარები არის დიდი შესაძლებლობა, გაეცნოთ სოფელს, ვიფიქროთ იმაზე, რა მოგვწონს და რა გვინდა შევცვალოთ. ასევე შეგიძლიათ თემატური ფოტოსემინარების ორგანიზება (მაგალითად, ისტორიის, ეკოლოგიის და ა.შ.). სურათების მოგვიანებით დაბეჭდვა და გამოფენის ორგანიზება (ან სლაიდების ჩვენების ორგანიზება). გამოფენა არის დისკუსიის კიდევ ერთი შესაძლებლობა და სიღრმისეული კვლევა მოსახლეობის მონაწილეობით (იხ. ზემოთ).

მიუხედავად არჩეული მეთოდისა, მოგვიანებით, შეხვედრაზე უნდა განიხილოთ სოფლისთვის მნიშვნელოვანი პრობლემები / თემები.

ადგილობრივი პროექტების განხორციელებისას აუცილებელია იმის გარანტია, რომ ისინი უკავშირდება არა მარტო საჭიროებს, არამედ, ვინც პროექტს განმახორციელებლების, ინტერესებიდან გამომდინარე. ასეთი კომბინაცია მნიშვნელოვნად ზრდის პროექტის წარმატების შანსს.

ადგილობრივი კვლევის შემდეგ, უნდა ვიფიქროთ იმაზე, რა მომწონს, რა უნდა ვისწავლო, რა გამომდის. თქვენ შეგიძლიათ ჩაატაროთ კვლევა, ანკეთების შევსსების მეშვეობით (მაგალითად, კითხვები: "რა მომწონს მე?", "რისი გაკეთება არ მიყვარს?", "რა უნდა ვისწავლოთ?", "რა გამომდის ყველაზზე კარგად?")

შემოქმედებითი ბრეინსტორმინგი (არსებობს მრავალი გზა, მაგალითად, მონახეთ ინტერნეტში, მეთოდები / ტექნიკა). სცადეთ იპოვოთ რაც შეიძლება მეტი შესაძლებლობა თქვენი ინტერესების გასახორციელებლად (რაც მეტი ვარიანტი იქნება, უკეთესია!). მაგალითად, თუ გინდათ ეკოლოგიას და ნაგვის უტილიზაციასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარება, შეგიძლიათ ორგანიზება გაუკეთოთ სოფლის გაწმენდას, ასევე, შეგიძლიათ სოფელში ეკო-მეგობრული სავაჭრო ჩანთების განაწილება, აღნიშნული საკითხის შესახებ სემინარების ორგანიზება, ეკოლოგიასთან დაკავშირებით ფილმების ჩვენება და შემდეგ დისკუსია, ასფალტზე წარწერების გაკეთება, წახალისების მიზნით. ყველამ უნდა გააკეთოს ის, რაც მისთვის მისაღებია!

II შესრულება

1. მიზნების განსაზღვრა.

მიზნების გასახორციელებლად უნდა იყოს ადაპტირებული პირობები - ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი ამ ეტაპზე. ძალიან მნიშვნელოვანია იმის უზრუნველყოფა, რომ მიზანი არის გამოწვევა და, ამავე დროს, არ არის შეუძლებელი შესასრულებლად, მოცემულ პირობებში. მიზნის მისაღწევად, უნდა ვიფიქროთ იმ ცვლილების შესახებ, რომელიც გსურთ იხილოთ თქვენს რეალობაში. თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ, მაგალითად, ხიდის სიმბოლო - ხიდის დასაწყისში დავწერეთ რა არის პრობლემა, რატომ არის ეს პრობლემა და რა უარესდება.



ხიდის შუა ნაწილში ვწერთ რა შეგვიძლია შევცვალოთ, რატომ არის ჩემთვის მნიშვნელოვანი ეს ცვლილება. და ხიდის მეორე მხარეს ვწერთ - რა შეიცვალა? რა მდგომარეობაა ამ ეტაპზე? საიდან ვიცით, რომ ცვლილება იმუშავებს. მნიშვნელოვანია, კითხვებზე კონკრეტული პასუხების გაცემა.

2. შემოთავაზება – offline და online

იფიქრეთ იმაზე, თუ როგორ უნდა შეეწყოს ხელი პროექტს და საქმიანობას - ადგილობრივ დონეზე, მეზობლებს, სოფლის მცხოვრებლებს შორის და სხვა დონეზე - ინტერნეტში, მედიაში, რეგიონულ შეხვედრებზე და ა.შ. ყველაფერი დამოკიდებულია კონკრეტული პროექტის შესაძლებლობებსა და მახასიათებლებზე.

იმისათვის, რომ პლაკატები გააკეთოთ, ბევრი არ გვჭირდება - მხოლოდ დიდი ქაღალდი და საღებავი! კარგი გზაა, ასევე, ასფალტის წარწერები ან შეხვედრები. ხშირად კარდაკარ სიარული და ხალხის მოიწვევა ღონისძიებაზე / პროექტში მონაწილეობის მისაღებად. პირადი მოწვევა ყოველთვის საუკეთესოდ მუშაობს!

თუ გადაწყვეტთ პროექტის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას ინტერნეტში - დავფიქრდეთ იმაზე, თუ რომელ პლატფორმას გამოიყენებთ და ვინ იქნება პასუხისმგებელი. ღირს იმ პლატფორმის შერჩევა, რაც ყველაზე უფრო მისაღები და ხელმისაწვდომი იქნება ახალგაზრდებისთვის. ინფორმაციის გავრცელება, პროექტების ხელშეწყობის მიზნით, ინტერნეტის საშუალებით, აუდიტორიის გაფართოების კარგი საშუალებაა.

ინსტრუმენტები / პლატფორმები უნდა იქნეს გამოყენებული: ფეისბუქზე Facebook- ზე, Facebook-ის ჯგუფში, www.wordpress.com - ში (ვებ-გვერდის შესაქმნელად მარტივი პლატფორმა), www.tilda.cc (ვებსაიტისა და ბლოგის შექმნის ინსტრუმენტი), www.canva.com (მარტივი ინსტრუმენტი www.flickr.com (ალბომების შექმნის პლატფორმა), www.isuu.com (ინტერნეტის პუბლიკაციების გამოქვეყნების პლატფორმა, წიგნები და ა.შ.)

III. შემაჯამებელი – შეფასება და საზეიმო ღონისძიებები

პროექტის დასასრულს, დაგეგმილია საევალვაციო შეხვედრა, ვისაუბროთ იმაზე, რაც მიღწეულია, შეაჯამეთ ერთობლივი მუშაობის და პროექტის მსხველობის პროცესი. არსებობს ევალვაციის მრავალი მეთოდი და თქვენ უნდა შეარჩიოთ კონკრეტული ჯგუფის და პროექტისთვის შესაბამისი (ჩვენ გვსურს, გაეცნოთ ბმულებს და პუბლიკაციებს, რომლებშიც მრავალი ინსტრუმენტი და ევალვაციის მეთოდია წარმოდგენილი).

ევალვაცია პროექტის ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილია – ეს არის რეფლექციის დრო და სამომავლოდ დასკვნის გაკეთების შესაძლებლობა.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ უმჯობესია გამოვიყენოთ ევალვაციის სხვადასხვა ფორმები. ფორუმზე შეგიძლიათ გამოიყენოთ ევალვაცია, ასევე, ანონიმურიც.

პროექტის დასრულების შესაძლებლობაც აღსანიშნავია! ერთობლივად უნდა აღინიშნოს, რაც ერთად გაკეთდა. შეგიძლიათ წვეულების, ექსკურსიის, პიკნიკის ორგანიზება. იფიქრეთ იმაზე, თუ როგორ გსურთ აღნიშვნა!

პროექტის დასასრულს, თქვენ, ასევე, შეგიძლიათ დაფიქრდეთ იმაზე, თუ რა უნდა გააკეთოთ მომავალში – მოხალისეებისთვის შეხვედრის ორგანიზება და ერთობლივი საქმიანობის მეთოდი.

ჩვენი გამოცდილება – რამ იმუშავა ჩვენი პროექტის განხორციელებისას? იდეების და ინსპირაციის მოკლე ჩამონათვალი.

1. **ურთიერთობა** - უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სივრცე და დრო, მოზარდებსა და ახალგაზრდებს შორის ურთიერთობების დასამყარებლად. რეგულარული შეხვედრები უფრო ეფექტურია, ვიდრე ერთჯერადი ღონისძიებები. დარწმუნდით, რომ როცა ზრდასრული ადამიანი პროექტშია, მას უნდა ჰქონდეს დრო და სივრცე, რათა დაამყაროს ნამდვილი ურთიერთობები. ასევე, გარდა საუბრებისა და საერთო გამოცდილებისა, მნიშვნელოვანია პროექტში ერთობლივი საქმიანობა. რისთვისაც აუცილებელია გახსნილი ურთიერთობები და ნდობა. გახსოვდეთ, რომ ყველას არ მოსწონს საუბარი ფორუმზე - ზოგიერთს ურჩევნია პირისპირ საუბარი, რისთვისაც გამოყოფილი უნდა გქონდეთ დრო.

2. **ახალგაზრდების სერიოზული მიმღებლობა** - გასნილობა და სიმართლე ახალგაზრდების პატივისცემის საფუძველია. ნუ გეშინია იმის თქმა, რომ არ იცი ან საკუთარი შეცდომების აღიარების, ასევე, ახალგაზრდობისგან სწავლის, მათ აზრი ჰკითხეთ.

უშუალო დამოკიდებულება ახალგაზრდებთან კარგი ურთიერთობის ჩამოყალიბების საშუალებას იძლევა და ეფექტური მუშაობის საფუძველია. სტერეოტიპების თავიდან აცილება აუცილებელია და დამოკიდებულება, რომ უკეთ ვიცი, რადგან მე მაქვს მეტი გამოცდილება, შეიძლება გაართულოს მუშაობის პროცესი. ეს მოითხოვს მოთმინების უნარს.

3. საკუთარი ცოდნის შესახებ საუბრისთვის მზად ყოფნა - ახალგაზრდობის აქტივობის გაზრდა შეიძლება გამოოიწვიოს ჩვენი კომფორტის ზონიდან გამოსვლა და ამისთვის მზად უნდა ვიყოთ. ეს სრულიად განსხვავებული მოდელია, ვიდრე ის, რაც ჩვეულებრივად გამოიყენება, ჩვენ ყველას გვაქვს გარკვეული სოციალური მოდელები და ბევრი სტერეოტიპები. თქვენ უნდა გააცნობიეროთ პარტნიორული მუშაობა. მზად უნდა იყოთ ახალგაზრდებთან ურთიერთობაში საზღვრების დარღვევისთვის (პასუხისმგებლობის და მართვის განაწილება). უნდა დაივიწყოთ ტრადიციული საქმიანობის სქემა, რომელსაც ჩვენ მიჩვეულნი ვართ. ეს გამოწვევაა, მაგრამ საინტერესო თავგადასავალი!

4. გამოცდილების გაზიარება - თქვენი როლი გამოცდილების გაზიარებით ახალგაზრდების მხარდაჭერაა, რაც დაანახებს მათ პერსპექტივას. გახსოვდეთ, რომ ახალგაზრდებს არ უნდა ჰქონდეთ ყველა ინფორმაცია და ყველა კონტექსტი, რომელიც თქვენთვის ცნობილია. იმის ნაცვლად, რომ მათ აწავლოთ, შეეცადეთ დისკუსიების მოწყობას, კითხვების დასმას, სხვადასხვა პერსპექტივების ჩვენებას.

ბევრი თავისუფლების მინიჭებასთან ერთად, უსაფრთხოების უზრუნველყოფაც საჭიროა - სრულიად შეისწავლეთ პროექტი, გაითვალისწინეთ კონტექსტი, შეეცადეთ თავიდან აიცილოთ სიურპრიზები, შეამოწმეთ ლიმიტები და შესაძლებლობები. ეს დაგვეხმარება, მაგალითად, რეალისტური სამოქმედო მიზნების დასახვაში.

5. მზადყოფნა მუდმივი ცვლილებებისთვის - საჭიროა ახალგაზრდებისთვის კითხვების დასმა და რეფლექციისთვის დროის მიცემა, ასევე, მზად უნდა იყოთ, საჭიროებიდან გამომდინარე, გეგმების ცვლილებისთვის. დაგეგმილი არ მუშაობს? გაქვთ იდეა რამეზე, რაც შეიძლება უკეთესად მუშაობდეს ვიდრე დაგეგმილი? შეცვალეთ ეს! პროექტი არის ურთიერთობა და ურთიერთობა არის ცოცხალი ორგანიზმი, რომელიც მუდმივად იცვლება! გახსოვდეს, რომ ის, რაც ერთ ჯგუფში მუშაობდა, შეიძლება არ იმუშაოს სხვაგან.

6. ხელშეკრულება / წესები - პროექტის დასაწყისში ახალგაზრდებთან ერთად უნდა შემუშავდეს მუშაობის წესები, რომლებიც, ხელს შეუწყობს ჯგუფში უკეთესად და უსაფრთხოდ მუშაობას, მისი კონკრეტული მოთხოვნების შესაბამისად (მაგ., კომუნიკაციის პრინციპები - "მე" რომელიც კონკრეტულ (მოვლენას / სიტუაციას / ქცევას, პატივისცემას და ა.შ.) ეხება. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია ხელშეკრულების შეცვალა ან სიტუაციაზე მორგება. დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ შემოღებული წესები ყველასთვის გასაგებია.

7. აუთენტურობა - ახალგაზრდებთან მუშაობისას ზრდასრული უნდა იყოს აუთენტური. თუ მას არ სჯერა, რასაც აკეთებს და არ ენდობა ახალგაზრდებს, თუ ის არ გრძნობს თავის როლს, ახალგაზრდები სწრაფად შეამჩნევენ. თქვენ შეიძლება გახდეთ ავტორიტეტი მხოლოდ აუთენტურობის შემთხვევაში - ეს უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ყველა მეთოდი ერთად აღებული.

8. დრო - ახალგაზრდების პარტნიორობით პროექტების განხორციელება მოითხოვს დროს. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ჯგუფის ურთიერთობა, საუბარი, დისკუსია, გახსნილობა. ეს ყველაფერი საჭიროებს დროს! ახალგაზრდებთან ინიციატივების დაგეგმვისას მნიშვნელოვანია დროის სწორად განსაზღვრა.



9. ინსპირაცია - მსოფლიოში ათასობით ინსპირირებული ინიციატივა არსებობს, რომლებიც ასახავენ ბავშვების და ახალგაზრდების მონაწილეობას და პასუხისმგებლობას. მოიძიეთ და წაახალისეთ ისინი! დასაწყისში გთავაზობთ იმას, რაც ჩვენ გამოვიყენეთ (მაგალითად, TED Talks დროს):

- დემოკრატიული სკოლები
- Montessori-ს პედაგოგიკა
- NVC (არაძალადობრივი კომუნიკაცია)
- კულტურული ანიმაცია

დაფინანსების წყაროები, ადგილობრივი რესურსების გამოყენება

ახალგაზრდებთან ადგილობრივი საქმიანობების დაგეგმვის დროს, პირველ რიგში დაფიქრდით, როგორ შეიძლება ადგილობრივი რესურსების მაქსიალურად გამოყენება. ვის შეუძლია მოგცეთ მატერიალები, დაგეხმაროთ სამუშაოებში, შეკრიბოს მოხალისეები, იცოდეს როგორ შეიძლება გამოყენებული მასალების ხელმეორედ გამოყენება. ბიუჯეტის არ არსებობა არ არის დაუძლეველი წინააღმდეგობა.

დაეხმარეთ ახალგაზრდებს, რომ კარგად შეძლონ საკუთარი პროექტის პრეზენტირება. თქვენი მხარდაჭერით მიმართონ ახალგაზრდებმა ადგილობრივ გამგეობებს, რათა გამოუყონ რესურსები მათი პროექტებისთვის - ფინანსების, სამშენებლო მასალების, შენობის და სხვა სახით. ასევე მიმართეთ რეგიონალურ გამგეობებს და ქალაქების მერიებს, რომელთაც, როგორც წესი აქვთ ბიუჯეტი ახალგაზრდების განვითარების სფეროში - ზოგიერთი პირდაპირ აცხადებს კონკურსებს ახალგაზრდული პროექტებისთვის (როგორც მაგალითად ქალაქ გორის მერია).

ასევე სცადეთ მიმართოთ სპონსორებს სასპონსორო საჩუქრებისთვის (იდეალურია სამშენებლო მასალებისთვის, ტექნიკის და მომსახურებისთვის). შესთავაზეთ მათ რეკლამა მათი კომპანიის ლოგოთი, პოსტი სოციალურ ქსელებში, სიუჟეტი ადგილობრივ მედიაში და სხვა.

გრანტები, ფონდები და პროგრამები:

გრანტების სია და განცხადებები - http://csogeorgia.org/ , www.jobs.ge

- პროგრამა Erasmus+ - მეტი ინფორმაციისთვის - https://www.facebook.com/EP.Georgia/ და Salto Youth -https://www.salto-youth.net/
- https://app.orbeliani.net/ka/visitor/ ორბელიანი
- http://initiatives.ge/grants.php “Initiatives.ge” ონლაინ გრანტების პლატფორმა
- https://charte.ge/ge/ ჩართე ფონდი
- http://www.fondi.gov.ge/ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი
- https://diamondchallengegeorgia.blogspot.com პროგრამა და კონკურსი მეწარმეობაში უფროსკლასელთათვის
- https://www.president.gov.ge/ka-GE/sajaro-informacia/sarezervo-fondi.aspx საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი
- https://osgf.ge/en/ ღია საზოგადოების ფონდი
- http://www.epfound.ge/ge/gemtavari/ - ევროპის ფონდი

ზოგიერთი საელჩო აცხადებს საგრანტო კონკურსებს, მაგალითად:

- https://ge.usembassy.gov/education-culture/grant-programs/ US Embassy
- https://www.mzv.cz/tbilisi/en/the_eastern_partnership/index.html Czech Embassy
- https://www.msz.gov.pl/ka/p/tbilisi_ge_a_ka/tbilisi_ge_a_37 Polish Embassy
- https://www.facebook.com/SlovakEmbassyGeorgia/ Slovak Embassy

საკონტაქტო სია – ვინ მუშაობს?

აქტიური ახალგაზრდების Facebook ჯგუფი: https://web.facebook.com/groups/114108592727218/

Youth Association DRONI	#erasmus+ #ტრენინგები #ადამიანის უფლებები	თბილისი	https://www.facebook.com/droniorg/ https://www.droni.org
ირის ჯგუფი - მრავალფეროვნების მართვა	#ტრენინგები ახალგაზრდებისთვის რეგიონებიდან #უმცირესობა	თბილისი, ნუკრიანი	http://irisgroup.org.ge https://www.facebook.com/IrisGroup.org/
ადამიანის უფლებების კვლევის ცენტრი	#erasmus+ #ტრენინგები #ადამიანის უფლებები	თბილისი	https://www.facebook.com/HRRC.Georgia/
უკეთესი მომავლისთვის	#erasmus+ #ტრენინგები #ახალგაზრდული კლუბი #მოხალისეობა	წეროვანი	https://www.yfbf.org/
მეგობრობის ხიდი "ქართლოსი"	#erasmus+ #ტრენინგები #მოხალისეობა	გორი	http://qartlosi.org
კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრი	#PITAახალგაზრდული ცენტრი #შშმ ინტეგრაცია	გორი	https://www.facebook.com/GoriWDC/
ბესიკ ნიპარიშვილის კასპის სკოლა-გიმნაზია	#ტრენინგები #ახალგაზრდული კლუბი #ოკუპაციის მუზეუმი	კასპი	https://www.facebook.com/kaspigymnasium/ https://goo.gl/ih6iNu
კონა	#ტრენინგები #მოხალისეობა #სამოქალაქო განათლება	თბილსი, კასპის რაიონი	https://www.facebook.com/konageorgia/
ახალგაზრდობა ერთიანი მომავლისათვის	#ბიბლიოთეკის განვითარება #ადგილობრივი ღონისძიებები	თბილსი, კასპის რაიონი	https://www.facebook.com/YUF.ngo/

ათინათი	#PITAახალგაზრდული ცენტრი #რადიო ათინათი #მოხალისეობა #ტრენინგები	ზუგდიდი	http://www.atinati.org/ https://goo.gl/pDyqRB
ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი	#PITAახალგაზრდული ცენტრი #ტრენინგები	ოზურგეთი	https://goo.gl/FwP4oq
თავისუფალ ჟურნალისტთა სახლი	#მედია #ტრენინგები #PITAახალგაზრდული ცენტრი #presscafe	ბათუმი	www.media.org.ge https://www.facebook.com/media.org.ge/
საქართველოს საზოგადებრივი ინტერესების დაცვის ასოციაცია (სსიდა)	#ტრენინგები #ბავშვზე ზრუნვის სერვისების #შშმ ინტეგრაცია	თელავი	http://gpida.ge/ https://bit.ly/2PObFEd
განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი	#PITAახალგაზრდული ცენტრი #ტრენინგები #შშმ ინტეგრაცია	ქუთაისი, თელავი	www.edec.ge https://www.facebook.com/ngoEDEC
რეგიონული განვითარების რესურსცენტრი	#ტრენინგები #მოხალისეობა #მედია #სამოქალაქო განათლება	ქუთაისი	http://rdrc.ge/ https://www.facebook.com/pg/RegionalDevelopmentResourceCentre/posts/
დემოკრატ მესხთა კავშირი	#PITAახალგაზრდული ცენტრი #ტრენინგები #უმცირესობა	ახალციხე, ახალქალაქი	www.udm.org.ge www.facebook.com/UDM-Georgia
ნინოწმინდის ახალგაზრდული ცენტრი "პაროს"	#PITAახალგაზრდული ცენტრი #ტრენინგები #უმცირესობა	ნინოწმინდა	https://goo.gl/q2duRF
სამოქალაქო ინტეგრაციის ფონდი	#PITAახალგაზრდული ცენტრი #ტრენინგები #უმცირესობა #სამოქალაქო განათლება	დმანისი, გარდაბანი	https://cif.org.ge/
Marneuli Youth Center	#PITAახალგაზრდული ცენტრი #ტრენინგები #სპორტი #უმცირესობა	მარნეული	https://www.facebook.com/marneuliyouthcenter/?tn-str=k*F
ახალგაზრდა ინოვატორთა ჯგუფი	#ტრენინგები #სპორტი #უმცირესობა #ლიტერატურა	მარნეული	https://www.facebook.com/younginnovatorsgroup/

JOHN'S ALLEY
@more

ბმულები და პუბლიკაციები

ინტერნეტ გვერდები და პუბლიკაციები ინგლისურ ენაზე

- https://www.salto-youth.net/ - ახალგაზრდებთან მუშაობის მეთოდები და ხერხები (თქვენ შეგიძლიათ მონაწილეობა მიიღოთ ინტერნაციონალურ ტრენინგებში: https://www.salto-youth.net/tools/european-training-calendar)
- http://competendo.net/ ახალგაზრდებთან მუშაობის მეთოდები და ხერხები
- www.coe.int/compass - პრაქტიკული სახელმძღვანელო ახალგაზრდებთან მუშაობისთვის
- https://www.mitost.org/editions/initiativecookbook/THK/Cookbook_English/THK-Cookbook_English.pdf - პროექტის მართვა პრაქტიკაში
- https://mitost.org/editions/mentoringhandbook.html - მენტორის სახელმძღვანელო
- https://resourcecentre.savethechildren.net/sites/default/files/documents/2553.pdf - So you want to consult with children?
- https://www.unicef-irc.org/publications/pdf/insight6.pdf - Promoting Children's Participation in Democratic Decision-making
- https://www.unicef-irc.org/publications/pdf/childrens_participation.pdf - Children's Participation

ინტერნეტ–გვერდები და პუბლიკაციები ქართულ ენაზე

- https://www.civiceducation.ge - სამოქალაქო განათლება ყველასთვის
- https://civics.ge/library/ სამოქალაქო განათლების პორტალი
- http://188.93.95.4/~irisgrou/wp-content/uploads/2017/12/Mentorebis_book_onlne.pdf მენტორობის სახელმძღვანელო
- https://goo.gl/SzYroL - ურბანული აქტივიზმის გზამკვლევი
- http://www.fes-caucasus.org/fileadmin/Publications/2016/FES_Report_GEO-Web_02.01.2017.pdf - თაობა გარდამავალ პერიოდში - ახალგაზრდობის კვლევა 2016
- http://unicef.ge/uploads/Final_Geo_Adolescents_and_Youth_in_Georgia.pdf - ახალგაზრდების ეროვნული კვლევა საქართველოში (2014)
- http://www.helpinghand.ge/uploads/2/5/0/0/25000294/the_survey_analysis_report_helping_hand__1.pdf ახალგაზრდების დამოკიდებულება მოხალისეობისადმი (2013)
- https://goo.gl/15abtR - ადგილობრივ თვითმმართველობაში მოქალაქეთა ჩართულობის სახელმძღვანელო

ავტორების და პარტნიორი ორგანიზაციების შესახებ

ბეტკა ვოიჩიკი

(გალიციური განვითარების და განათლების ფონდის თავმჯდომარე) - ანიმატორი და პედაგოგი, 5 წლის განმავლობაში ქმნის და ახორციელებს საავტორო საგანმანათლებლო პროექტებს ბავშვებთან და ახალგაზრდებთან, განსაკუთებულად უყვარს მუშაობა ადგილობრივ საზოგადოებასთან, გლობალური განათლების კულტურულ და სამოქალაქო საზოგადოების ფარგლებში. ბავშვებთან და ახალგაზრდებთან მუშაობდა ჩეხეთში, პოლონეთში და საქართველოში. უპირატესობას ანიჭებს არაფორმალურ და ალტერნატიულ განათლებას.

კონტაქტი: betka.wojcik@gmail.com

გალიციური განვითარების და განათლების ფონდი

ჩვენი ფონდის საქმიანობა მიზნად ისახავს სოფლად მცხოვრები ბავშვებისა და ახალგაზრდების გააქტიურებას. ჩვენი ხედვა აქტიური ადგილობრივი საზოგადოება, რომელიც ჩაკეტილი არაა. ჩვენი საქმიანობის მეშვეობით გვსურს დემოკრატიული ადგილობრივ დონეზე განვითარების ხელშეწყობა.

http://galicyjskafundacja.tilda.ws/

https://web.facebook.com/galicyjskafundacja.krzywa/

იანა კოვალოვა

(არასამთავრობო ორგანიზაცია "კონა"-ს თავმჯდომარე) - ანიმატორი და ტრენერი, არასამთავრობო ორგანიზაციის "კონას" დამფუძნებელი, მუშაობს ახალგაზრდებთან შიდა ქართლის რეგიონში. 2010 წლიდან კოორდინირებს საერთაშორისო პროგრამას ჩეხი, ქართველი, სომეხი და მოლდოველი ახალგაზრდების სამოქალაქო ჩართულობის შესახებ.

კონტაქტი: janakowalova@gmail.com

კონა - საზოგადოებრივი განვითარების და განათლების სფეროში მოღვაწე ორგანიზაციაა. ძირითადად მუშაობს ახალგაზრდებთან. ხელს უწყობს მათი უდიდესი პოტენციალის განვითარებაგამოვლენას, მხარს ვუჭერს მათ იდეებს და სურვილებს, რათა შეცვალონ თავისი და გარშემომყოფთა რეალობა უკეთესობისკენ, მათ ეს შეუძლიათ!

კონა ორგანიზებას ვუკეთებს სხვადასხვა კულტურულ და საზოგადოებრივ ღონისძიებებსა და აქტივობებს ქვემო ჭალაში და შიდა ქართლის სხვა სოფლებში. ასევე თანამშრომლობს და მუშაობს მცირეწლოვანი ბავშვების მშობლებთან თბილისში.

https://www.facebook.com/konageorgia/

ფოტოსურათები: დენიელ კიერმუტი
გრაფიკული დიზაინი: ოთარ მურაჩაშვილი
თარჯმანი: ლელა პაპუაშვილი

ეს პუბლიკაცია ლიცენზირებულია საერთაშორისო “The Creative Commons Attribution-ShareAlike 4.0” ლიცენზიის მიერ.
ლიცენზიის ასლის სანახავად გადადით ბმულზე: http://creativecommons.org/licenses/by-sa/4.0